საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.
რკინის გზაზე 60 კაპ.

№ 396 1918 წ. პარასკევი. ნოემბერი 30.

საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ინგლისს და საფრანგეთს საქართველოსადმი აგრესიული განზრახვა არა აქვთ. დეკემბრის პირველს საქ. პარლამენტის საზეიმო სხდომაა ნახევარი წლის აღსანიშნავად. საბჭოთა ყრილობაზე ბოლშევიკებმა გამოაცხადეს, რომ მოსალოდნელია ინგლისის საფრთხე. დღეს საქ. პარლამენტის სხდომაა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ფასი: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, ხასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—39.

მშობლები ილია და სოფიო, ძმები: გიგა, სიკო და ვლადიმერ და დები ნინო, თამარ, ტასო და ქეთევან ფაშალიშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ უდროოდ გარდაიცვალნენ პირველთა ქალი და სიძე და დანარჩენთა დაი და სიძე

მანანა და ნიკო გურამშვილები.

1421

ღრმად დამწუხარებულნი დარია ნესტორის ასული ტყემალაძე შვილები მისი გალაქტიონ, კლავდიოზ, მიტროფანე და ირაკლი ტყემალაძენი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ სოფელ ბაჯითში, ოთხშაბათს, 26 ამ თვეს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი მეუღლე ხოლო მეორეთა უსაყვარლესი მამა

დეკანოზი აბესალომ ტყემალაძე

პანაშვიდები დანიშნულია მიცვალებულის ბინაზე ყოველ დღე დილის 2 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2463

ღრმად დამწუხრებული დედა ელისაბედი, ბებია მართა და ბიძები: ამბროსი, ამბაკო, აკაკი და ორი ჯინორიძეები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და ამხანაგთ რომ უდროოდ გარდაცვალებულის

გიორგი (ჟორჟიკა) სალაყაიას

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი იქნება გადახდილი დეკემბრის 1-ს (ახალი სტილით) სოფ. თეკლათის საყდარში, წირვა დაიწყება 10 საათზე. 2479

ღრმად დამწუხარებულნი ევა მიხეილის ასული კობახიძისა, არჩილ, ვარა და ლოლა თუხარლები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ვერაგულად მოკლულ საყვარელი რძლის და დაუვიწყარ დედის

ნატალია დავითის ასული თუხარლის

სულის მოსახსენებლად ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გადახდილი იქნება კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში შაბათს, ნოემბრის 30-ს დილის 11 საათზე. 2476

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ს. ახალქალაქში გარდაიცვალა

თამარ ალექსანდრეს ასული თარხან-მოურავისა

რასაც აუწყებენ მულები მისი ნადეჟდა, ივანეს ასული ქურდოვანიძისა, ვერა ივანეს ასულ თარხან-მოურავისა და მარიამ ივანეს ასული ოქრომჭედლიშვილისა ქმრებით და შვილებით. 2177

ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ სოფ ახალქალაქში გარდაიცვალა

თამარ ალექსანდრეს ასული თარხან-მოურავისა

ამას აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა დედამთილი მისი ანა იაკოფის ასული თარხან მოურავისა და მეუღლე მისი გიორგი ივანეს ძე თარხან-მოურავი შვილებით ივანე, ესტატე, ალექსანდრე, იოსები, მარიამ და ნინოთი. დაკრძალვა დეკემბრის პირველს კვირას, დილის 11 საათზე სოფელ ახალქალაქში. 2477

ქართულ კლუბის თეატრი

დღეს, პარასკევს ნოემბრის 29-ს 1918 წ.

ქართველ მსახიობთა მიერ ბ. ვახ. აბაშიძის, ქ-ქ. ელ. ჩერქეზიშვილის და ნ. ჯავახიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

არშინ მალ-ალან

დასაწყისი საღამოს 8 საათზე გამგე გ ირდანიშვილი 2474

ტფილისის კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკლესიის სამრევლო საბჭო აცხადებს, რომ თავისუფალია ადგილები ხსენებულ ეკლესიის შტატის მთავარ დიაკონის, და ორი მედავითნისა. არჩევნები დანიშნულია კვირას, დეკემბრის 8-ს (ახალი სტილით) მსურველთ თხოვნები უნდა შემოიტანონ სამრევლო საბჭოს სახელზე. 2470

განცხადება

ცენტრალური სასურსათო საბჭო (მადათოვის ქ. № 8, ყოფილი სასურსათო სამინისტრო) ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში მარცვლოვანი მარილი დაწესებულ ფასებში.

მარილის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში და ქ. ფოთში. 1411

სახელმწიფო თეატრი

პარასკევი, ნოემბრის 29-ს, ოპერა

ე. ხპიტკოს, მარკოვის, ა. ინაევის, ლ. ისეცკის მონაწილეობით

კარმენი

შაბათს, ნოემბრის 30-ს,

ტ. საბანეევის, ტ. ორდას, ზალიპსკის და ისეცკის მონაწილეობით

რიგოლეტო

კვირას, დეკემბრის 1-ლს დილით

პაიაცები და ქორწინება უკრაინაში

საღამოთი ალეშკოს, ზალიპსკის, პოლიაევის და ნიკოლსკის მონაწილეობით

დუბროვსკი.

ოთხშაბათს, დეკემბრის 4-ს გ ნიკოლსკის 10 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე პირველად 1. მოცარტი და სალიერი. 2. სევილიელი დალაქი მონაწილეობენ საბანეევისა, ზალიპსკი და პოლიაევი.

დასის წარმომადგენელი ევლახიშვილი. 1337

ფარმაცევტთა პირველი ყრილობის მოწვევი ბიუროსაგან

კვირას, დეკემბრის 1-ს დილის 12 საათზე მედიკურ საზოგადოების შენობაში გაიხსნება საქართველოს რესპუბლიკის მოსამსახურე ფარმაცევტთა პირველი ყრილობა.

მისამართი: ქალაქის აფთიაქი. ყრილობის წევრები წინა დღით უნდა გამოცხადდნენ საორგანიზაციო ბიუროში. 2463

განცხადება

თანახმად საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის ჟურნალიდან ამონაწერისა ოქტომბრის 1-ს 1918 წელს დაარსდა კომისია. შემდგარი იუსტიციის და სამხედრო სამინისტროების წარმომადგენლებისაგან სოფლის მცხოვრებთა საჩივრების გასარჩევად ჯარისკაცებისა და სახალხო გვარდიის ნაწილებზე. ამ კომისიაში სამხედრო სამინისტრომ აირჩია წევრად ხსენებულ სამინისტროში ჩარიცხული პოლკოვნიკი ივანე სოლომონის ძე ყანჩელი, ხოლო იუსტიციის სამინისტრომ კი ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორი მიხეილ არხიპის ძე ტატიშვილი.

საჩივრები მიიღება ტფ საოლქო სასამართლოს პროკურორის კამერაში. 1422

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

დღეს, 1918 წ ნოემბრის 29 ს შესდგება გრანდიოზული

გალა-სასპორტო წარმოდგენა.

მონაწილეობენ ჰაერის მფრენი სამი ეშმაკი ტფილ. კინტო ლევანსკი. იაპონელთა დასი, იამადასანისა, ძასხრები ვიქტორ და დიმი და ქუკეი ვოლდემარი, და აგრეთვე მთელი დასი. დასაწყისი 7 ნახ. საათზე.

მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 2475

ტფილისი, ნოემბერი 29.

რევოლიუცია და იმპერიალიზმი ყურადსაღები ამბები ჰხდება ევროპაში. ფაქტიურად და იურიდიულადაც ომი თითქოს უნდა გათავებულიყო, მაგრა ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტები არ აპირებენ სისხლის ღვრის შეჩერებას. საფრანგეთის შოვინისტები პროვოკაციას ეწევიან და ჰსურთ გერმანია ისევ ჩაითრიონ ომში ეს მაშინ, როცა ჰინდენბურგის სიტყვითაც კი გერმანიის ჯარს აღარავითარი წინააღმდეგობა და ბრძოლა აღარ შეუძლიან. ამავე დროს გერმანიის რევოლიუციონურ დემოკრატიას სალამს უძღვნის საფრანგეთის მუშათა კლასი და შეშინებული ინგლისი კარებს ჰკეტს რევოლიუციის მოლოდინში. ხოლო, როგორც ირკვევა, მოკავშირეებს აქვთ განსაზღვრული გეგმა რუსეთის ახლანდელი მთავრობის, ბოლშევიკების დამარცხების და მოსპობისა. რაშია საქმე?

ორი ძალა უპირისპირდება ერთმანეთს — იმპერიალიზმი და რევოლიუცია. ის ცუა საფრანგეთის შოვინისტებისა, რომ ომი განაგრძონ გერმანიასთან, შეიძლება იყოს განხორციელება იმ დიდი გეგმისა, რომელსაც მიზნად აქვს მოსპოს ევროპაში ყოველგვარი რევოლიუციონური მოძრაობა, მოახდინოს ფაქტიური ოკუპაცია რუსეთის ყოფილ ტერიტორიისა და გერმანიისა და იქ ძველი, იმპერიალიზმისთვის ხელსაყრელი პირობები დაამყაროს. აქ მეორდება მეცხრამეტე საუკუნის დამდეგის ისტორია, როდესაც მთელი რეაქციონური ევროპა გაერთიანდა რევოლიუციონურ საფრანგეთის წინააღმდეგ და დაამარცხა კიდევაც. ამის შედეგი იყო ის „წმინდა კავშირი“, რომლის სულის ჩამდგმელი მეტტერნიხი იყო და რომელმაც მიზნად დაისახა ერთმანეთს დახმარებოდნენ კიდევაც, თუ რომელსამე სახელმწიფოში მონარქიის საწინააღმდეგო მოძრაობა დაიწყებოდა. ამ პირობის ასრულება იყო, რუსის ჟანდარმმა ნიკოლოოზ პირველმა ავსტრიას რომ ჰუნგრეთის რევოლიუცია დაათრგუნვინა თავისი ჯარების დახმარებით.

მაგრამ დღეს ისე ადვილი არაა რევოლიუციის დამარცხება, როგორაც მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს. მუშათა კლასის შეგნება ეხლა უფრო მაღლა სდგას და ხალხის ამხედრება რევოლიუციის წინააღმდეგ ძველებრ ადვილი არ იქნება. ეხლაც დიდი ბრძოლა მოელით იმპერიალისტებს თუნდ მაგალითად რუსეთში.

ჩვენ ვიცით, რა ჰხდება უკრაინაში. იქ დამოუკიდებლობის მომხრეები და ბოლშევიკები შეთანხმდნენ და ძველი მთავრობა დასცეს, გეტმანი სკოროპადსკი დააპატიმრეს, ხოლო პეტლიურამ ეკატერინოსლავი აიღო. არის აგრეთვე ცნობები, რომ ეგრედ წოდებულ მოხალისეთა ჯარის წინააღმდეგ ბოლშევიკები სცდილობენ, რაც შეიძლება დიდი ძალა შექმნან და ვიდრე მოკავშირეები დაეხმარებიან პირველთ, ისე დაამარცხონ. ჯარში დიდი დისციპლინა დაუმყარებიათ და რეაქციონერების ჯარი რამდენიმეჯერ დაუმარცხებიათ. ასე რომ რუსეთის „გაერთიანებას“, ე. ი. თავისუფლების მოსპობას და ძველის აღდგენას არც თუ ისე ცოტა ხანს დასჭირდება, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. ჩვენთვის, საქართველოსათვის ამ ბრძოლას დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ-ჯერობით ჩვენ დიდი საფრთხე, როგორც ირკვევა, არავისაგან მოგველის, მაგრამ საბოლოოდ თუ დამარცხდა რევოლიუცია და გაიმარჯვა იმპერიალიზმმა — ჩვენი თავისუფლება შემთხვევათა რიგზე იქნება დამოკიდებული. ხოლო თუ გაიმარჯვა რევოლიუციამ, მაშინ დღეს უკვე თვით ავტორების მიერ უარყოფილი იდეა ერთა ლიგისა მკვდრეთით აღსდგება და კაცობრიობაც თავისუფლად ამოისუნთქებს ამდენი ხნის დავიდარაბის და სისხლის ღვრის შემდეგ.

მუხანათური პოლიტიკა

დღევანდელს ჩვენს წერილში გვინდა მკითხველისა და მთავრობის ყურადღება მივაქციოთ იმ მუხანათურ პოლიტიკაზე რომელსაც აწარმოებს ეგრედწოდებული ამიერკავკასიის რუსული ეროვნული საბჭო. ჩვენ ამ პოლიტიკას ვახასიათებთ როგორც მუხანათურს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ოფიციალური დეკორატიული სახე ამ საბჭოსი თითქოს სავსებით ლოიალური და წმინდა მიზნების მატარებელია. ნამდვილად კი, თუ თავს მოვუყრით ყველა იმას, რაც ამ ეროვნულ საბჭოს გარშემო ხდება თუ ანალიზს გაუკეთებთ იმ ძალებს, რომელთა ამოძრავებასაც ეს ორგანიზაცია ცდილობს, დავრწმუნდებით, რომ იგი ნიადაგს უმზადებს იმ მომენტს, როდესაც შესაძლებელი გახდება აქტიური გამოსვლა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით, რომ ეროვნულ საბჭოს სულის ჩამდგმელია ბ ნი ლებედევი, „კავკასკოე სლოვოს“ ყოფილი კორესპონდენტი, რომელიც თავის თავს სოციალისტ-რევოლიუციონერს უწოდებს და რომლის კორესპონდენციებსაც საქართველოს შესახებ ძალიან კარგად იცნობს ქართველი საზოგადოება. ვიცით აგრეთვე, რომ იმავე ლებედევის ხელმძღვანელობით გამოდის რუსული გაზეთი სოც.-რევოლიუციონერებისა „დელო ნაროდა“ რომელიც დღიდან გაჩენისა ამა თუ იმ მოსაზრებებით ებრძვის საქართველოს დამოუკიდებლობას, საინტერესოა, რომ ამ ბოლო დროს განსაკუთრებული პოზიცია დაიჭირა ამ გაზეთმა. იგი ისევ ძველს გზას ადგია, ისევ ძველებურად ამტკიცებს, რომ საქართველო აუცილებლად უნდა შეუერთდეს რუსეთსაო, მაგრამ ამასთანავე ერთად რუსეთის მომავალი გაერთიანება დემოკრატიის ძალთა შინაგანი განვითარების საშუალებით ჰსურს. აქედან ლოღიკურის აუცილებლობით გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ შეუძლებელია გარეშე ძალთა დახმარებით გაერთიანება რუსეთისა და ისიც ისეთის ძალების საშუალებით, როგორიცაა მოხალისეთა რეაქციონური ლაშქარი. არსებითად ეს აზრი მართალია. იმ კონტრ-რევოლიუციონურ ძალას, იმ შავრაზმელ ელემენტს, რომელსაც დენიკინი ხელმძღვანელობს და რომელთაც რუსეთის დამფუძნებელი კრებაც კი მ[illegible]ნოდ მიაჩნიათ, მხოლოდ დროებით და ისიც საშინელი მსხვერპლის გაწევის შემდეგ შეუძლიანთ შეაკავშირონ რუსეთი და ერთს ცენტრალურ მთავრობას დაუმორჩილონ. გაივლის ხანი და მექანიკურად, გარეშე ძალის შემწეობით შეკოწიწებული მთავრობა ისევ დაემხობა და რუსეთიც კვლავ დანაწილდება იმ ტერიტორიალურ ერთეულებად, რომელთაც აქვთ ტენდენცია და შინაგანი

საშუალება დამოუკიდებლად არსებობისა. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა უკრაინა. გაისმა თუ არა ხმა უკრაინის ნაძალადევი გაერთიანებისა რუსეთთან, მაშინათვე ამბოხებამ იფეთქა და მეამბოხეებმა ჩამოაგდეს თავისი მასხარული ტახტიდან „გეტმანი“ უკრაინისა უკანასკნელი ცნობების მიხედვით ძალაუფლება გადასულა პროფ. გრუშევსკისა და ვინიჩენკოს ხელში, რომელნიც ერთგული დამცველები არიან უკრაინის დამოუკიდებლობისა. ადვილად შესაძლებელია ძალით, მოუხეშავის ძალის საშუალებით ეს ამბოხება ჩააქრონ და უკრაინის ხალხს კვლავ კისერზე წამოასხან რუსის რეაქციონერები და შავრაზმელები, მაგრამ ეს ბატონობა ძალიან ხან-მოკლე იქნება დაიღვრება ზღვა—სისხლი, კვლავ ბრძოლის ცეცხლი მოედება მთელ რუსეთს, მაგრამ ველიკოროსია კი სხვა ერებზე ველარ გაბატონდება. ჟანდარმი აერთებდა რუსეთს, ჟანდარმი აღარ არის და რუსეთიც დაირღვა. ჩვენ შეგვიძლიან რუსეთის ერები სისხლის მორევში ჩავახრჩოთ, მაგრამ რუსეთს ველარ აღვადგენთ. ამისათვის რომანოვების ახალმა დანასტიამ უნდა გაიაროს ასეული წლები

ამას ტფილისელი სოციალისტ-რევოლიუციონერებიც თითქოს ჰგრძნობენ და თავის მოკატუნებით ამბობენ, შეუძლებელია მოხალისეთა ჯარი დავსახოთ იმ ძალად, რომლის გარშემოც უნდა შემოკრბეს და გაერთიანდეს დარღვეული რუსეთიო. მიუხედავად ამისა ტფილისისავე რუსული ეროვნული საბჭო, რომლის სულის ჩამდგმელიც იგივე ლებედევია, წარმომადგენლებსა ჰგზავნის ერთის მხრით მოხალისეთა ჯართან, მეორის მხრით ბაქოში — ბიჩერახოვთან და რაღაც საყურადღებო დოკუმენტებიც ჩამოაქვთ. ერთის სიტყვით, რუსული ეროვნული საბჭო განსაზღვრულ ურთ-ერთობას იჭერს დენიკინის ჯართან და, ალბად, განსაზღვრულ გეგმებსაც ადგენს.

ვეკითხებით არა რუსთა ეროვნულ საბჭოს, არამედ მთავრობას, რა ესაქმება დენიკინს რუსთა ეროვნულ საბჭოსთან ან ამ უკანასკნელს დენიკანთან? მხოლოდ ბავშვისთვის შეიძლება იყოს ჯერ კიდევ საეჭვო, რომ რუსთა ეროვნული საბჭო ნიადაგს უმზადებს დენიკინის რაზმს, ან ყველა იმ რაზმს, რომელიც ძირს დასცემს საქართველოს მთავრობასა და დამოუკიდებლობას. მიუხედავად იმ ლათაიებისა და პრტყელ-პრტყელ რევოლიუციონური ფრაზებისა, რომლითაც ყოველ დღე გვიმასპინძლდება „დელო ნაროდა“, რუსთა ეროვნული საბჭო განსაზღვრულ კავშირს იჭერს მოხალისეთა რეაქციონურ ჯართან. ეს ნამდვილი მუხანათობაა. უფრო მეტსაც ვიტყვით. ეს გამასხარავებაა ჩვენი დამოუკიდებლობისა. აბუჩად აგდებაა ყველა იმისა, ვინც ხალხს შეჰფიცა ბრძოლა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე საქართველოს თავისუფლებისთვის. დაე გაიგოს ყველამ, რომ ჩვენ კეკე-მალულობას არა ვსთამაშობთ, დაე გაიგონ იმ რუსებმაც, რომელთაც ჯერ კიდევ ვერ გაუგიათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ფაქტია, რომელსაც იგი უბრძოლველად არავის დაუთმობს და მით უფრო რუსის შავ-რაზმელებს. დაე რუსთა ეროვნულმა საბჭომაც ან მორჩილებით ქედი მოიხაროს ამ აუცილებლობის წინაშე, ან, თუ ეს ვერ შეუძლიან, გადასახლდეს იქ, სადაც თავისი მოქმედებისთვის უკეთეს ასპარეზს ჰპოვებს.

მთავრობა ვალდებულია ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს და დაშალოს ეს ბუდე კონტრ-რევოლიუციისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებისა, ვალდებულია რუსთა ეროვნული საბჭოც ისეთსავე პირობებში ჩააყენოს, რანაირშიაც სხვა ეროვნებანი იმყოფებიან სომხებს ჰქონდათ ეროვნული საბჭო, მაგრამ მათ ანგარიში გაუწიეს შექმნილ პირობებს და აირჩიეს ახალი ეროვნული საბჭო, რომელიც საქართველოს ფარგლებში მოქმედებს. ასე მოიქცნენ ებრაელები, ასევე იქცევიან ბერძნები, რად უნდა იყოს განსაკუთრებულ პირობებში ჩაყენებული რუსთა ეროვნული საბჭო, თუ რესებს ჰსურთ ჰქონდეთ ნაციონალური ორგანიზაცია, ეხლანდელი ეროვნული საბჭო უნდა დაიშალოს და აირჩეს ახალი საბჭო საქართველოს ქვეშევრდომ რუსთაგან. ამიტომ მთავრობამ დაუყოვნებლივ უნდა დაითხოვოს და დაშალოს რუსთა ეხლანდელი ეროვნული საბჭო. გარდა ამისა, სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ჩვენი მტრები თავისუფლად დათარეშობენ და პირდაპირ კავშირს იჭერენ იმ კონტრ-რევოლიუციონურ ძალებთან, რომლებიც გულში ჩვენდამი კეთილ გრძნობებს არ ატარებენ.

ჩვენს გარშემო მუხანათური ქსელი ებმება და აუცილებლად გავებმევით იმ ქსელში, თუ დროზე ზომები არ მივიღეთ.

გ. ბარელი.

მთავრობაში

შრომის სამინისტროსთან არსდება კომისია, რომელშიაც შევლენ სამინისტროების წარმომადგენლები, 2 წარმომადგენელი რკინის გზის მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირისა და 2 წარმომადგენელი საქართველოს რკინის გზის გამგეობისა. კომისია გადასწყვეტს კითხვას 8 საათის სამუშაო დღის რკინის გზაზე შემუშავებისას.

მოძრაობის უფროსმა ვარიანმა დეპეშით სთხოვა გზათა სამინისტროს გაგზავნას ახალციხისა და ახალქალაქის ლტოლვილთა საგარეჯოდან ბადიაურში გადასაყვანად 28 დახურული და 2 ღია ვაგონი. საგარეჯოში ეს ლტოლვილები უკვე მომზადებულნი არიან ვაგონებში ჩასასხდომად.

მიწათმოქმედების სამინისტრო სთხოვს გზათა სამინისტროს განკარგულება მოახდინოს, რათა ის შეშა, რომელიც ქალაქის თვითმართველობამ თავის ნებით წამოიღო მე-300 ვერსიდან და რომელიც მიწათმოქმედების სამინისტროს ეკუთვნოდა ტფილისის სადგურიდან მიწათ-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულს დ. კახელაძეს გადაეცეს.

გარეშე საქმეთა სამინისტრომ სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიიღოს ზომები, რომ ადერბეიჯანის მთავრობის წარმომადგენლის შესაბლალავი ცილისწამების ხასიათის ცნობები, როგორიც იყო „კავკ. სლოვოში“, მოთავსებული „აზხატაფორი“-დან ამოღებული წერილი „სიბილიატი“-ს „ადერბეიჯანის დემოკრატიის ჯალათი“-ს მეთაურით – შემდეგში არ იბეჭდებოდეს.

უკანასკნელი ცნობები

ბოლშევიკების ახალი გეგმა.

სრულიად სანდო წყაროებიდან გაზ. „ნორ. მორიზონი“ გვაუწყებს, რომ ბოლშევიკებმა დაისახეს მიზნათ მოკავშირეთა მოსვლამდე დაიჭირონ მთელი სამხრეთი რუსეთი, და ამისათვის ისინი საჩქაროდ ახდენენ ძალთა კონცენტრაციას დონთან, ყუბანთან, ცარიცინის რაიონში და უკრაინაში. ეს ძალები შესამჩნევია და წარმოადგენენ იხეთ სერიოზულ საშიშროებას, რომ თუ მოკავშირეებმა დაიგვიანეს მოშველება, დონის და ყუბანის ჯარებს საშუალება არ ექნებათ წინაამდეგობა გაუწიონ ბოლშევიკებს არმიაში ამჟამად გამეფებულია უსასტიკესი დისციპლინა, სულ პატარა შეცოდებისათვის უწყალოდ ხვრეტავენ. იყო შემთხვევები, რომ სამხედრო მოვალეობის დარღვევისათვის მთელი როტები დახვრიტეს ტყვიის-მფრქვეველებით. ეხლა ბოლშევიკების ნაწილები იბრძვიან იშვიათის მამაცობათ. ტროცკი რომელიც ფრონტზე იყო ისევ, მოსკოვს დაბრუნდა.

მოკავშირეთა დახმარება მოხალისეებს.

ცნობის ბიურო მოხალისეთა არმიისა ატყობინებს უკრ. ტელ. სააგენტოს თანამშრომელს, რომ მოხალისეთა არმიის ხელმძღვანელებმა მიიღეს საფრანგეთის და ინგლისის მთავრობათაგან ცნობა მოკავშირეთა დახმარების შესახებ ტეხნიკოსთა რაზმის და სამხედრო მოწყობის გამოგზავნით.

საქართველოს პარლამენტი

სამშაბათი ნოემბრის 26.

რ. გაბაშვილის შემდეგ ლაპარაკობს სოც.-დემ. წარმომადგენელი.

რ. არსენიძე. (ს. დ.) ერთნი ამბობენ მემამულეებს უსასყიდლოდ წაართვეს მამული იმიტომ, რომ ხაზინას ფული აკლდა! მეორეთა აზრით სამკურნალო წყლების პატრონებს თითქოს იმიტომ ვაძლევთ სასყიდელს, რომ აჯანყების გვეშინია. ასე ლაპარაკობენ და გვიკიჟინებენ ულოღიკობას. ბატონებო! აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის. ჩვენ წავართვით უფასოდ მამული, რადგან ამ შემთხვევაში უქმდებოდა ფეოდალების წოდება და სახელმწიფო ვალდებული არ იყო თანხა გაელო მუქთახორა ხალხის ქეიფისათვის: წოდება ჰქრებოდა და ამ გაქრობას ხელი მოაწერა სოციალ დემოკრატიამ, და გადასცა მამული მას, ვინც მას უკეთ მოუვლის. დღევანდელ კანონპროექტის მიზანი კი მრეწველობის ხელის შეწყობაა. შეუძლებელია ჩვენ უსასყიდლოდ ჩამოვართვათ სამკურნალო წყლები მათ პატრონებს, რადგან ეს იქნებოდა მრეწველობის განვითარების შეფერხება: კონფისკაციით და ჩამორთმევით საქმე არ კეთდება. ის, რასაც თქვენ ეტრფით, არის ისეთი დალუპვა ჩვენი ქვეყნის, როგორც ეს რუსეთში ბოლშევიკებმა ჩაიდინეს. ჩვენ ეს პრინციპი უარვყავით და ვამბობთ: ქვეყნის აღორძინებისათვის საჭიროა ფეოდალიზმის აღმოფხვრა და მრეწველობის ხელის შეწყობა. თუ ისე განვითარდება საწარმოო ძალები, რომ დადგება კაპიტალიზმის აღსასრული, ჩვენი პარტია მაღლა აღმართავს დროშას სოციალიზმისას; დღეს კი ჩვენ რეალურ ძალთა განწყობილებას უწევთ ანგარიშს.

მ. მაჩაბელი (დამოუკ. ნ. დ). ვემხრობით კანონპროექტს მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყანას ავაცდინოთ ის ანარქია, როგორც თქვენმა აგრარულმა დეკრეტმა გამოიწვია სოფლად. თქვენ ამბობთ, რომ ანარქია შესწყდა დეკრეტის გამოცემის შემდეგო. მე ცნობებს მოგიყვანთ, რომ ანარქია სწორედ თქვენმა დეკრეტმა დაჰბადა: დეკრეტი გამოიცა 16 დეკემბერს, ხოლო პირველ მკვლელობას (მალალაშვილისას) ადგილი ჰქონდა 10 იანვარს. თქვენ ფეოდალიზმთან ბრძოლის სახით ებრძვით წვრილ მიწის მფლობელებს: ფეოდალიზმი ჩვენში, ბატონებო, დიდი ხანია გაჰქრა.

მიწათმოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი**. მოქალაქენო, პარლამენტის წევრნო! აქ შემოტანილი კანონპროექტი განვითარებაა იმ წყება კანონების, რომელთა მიზანია აგრარულ რეფორმის განხორციელება. აქ აღნიშნავენ თითქოს წინააღმდეგობა იყოს ჩვენს აგრარული პოლიტიკაში. არავითარი ულოღიკობა არ არის იმაში, რომ მემამულეებს უფასოდ ჩამოვართვით მამული, მამული ჩამოერთვა ფეოდალურ ნაწილს. მიწის ჩამორთმევით ეს წოდება ჰკარგავს გავლენას. წოდებას, რომელიც არაფერს არ ჰქმნიდა, არამედ ხალხის ქონებას ჰფლანგავდა, არ შეიძლება მიეცეს სასყიდელი ფულის სახით. ჩვენ დაუტოვეთ მათ იმდენი პიწა, რამდენიც საჭიროა არსებობისათვის. ჩვენი ყოფილი მემამულე დარწმუნდება იმაში, რომ სხვა გზა, გარდა პატიოსნური შრომისა არ არსებობს. ჩვენ არავითარი უსამართლობა არ ჩაგვიდენია: მათ დარჩათ ისეთი ნორმა, რომ ცხოვრება შეუძლიანთ. ამ ნორმის ფარგალში ჩვენ მას არაფერს ვართმევთ და თუ რამეს ჩამოვართმევთ, ამაში სასყიდელი უნდა მიიღოს. ჩვენი კანონპროექტიც სამკურნალო აბანოების, წყაროების და მათზე აგებულ შენობების ჩამორმევისა აძლევს მფლობელებს სასყიდელს კანონით დაწესებულ ნორმის ფარგალში. უსასყიდლოდ ჩამორთმევა ამ ქონებისა იქნებოდა ბოლშევიკური ზომების განმეორება. ვის ხელში უნდა იყოს ამ ჩამორთმეული ქონების პატრონობა? რ. გაბაშვილი ამბობს, მიწათმოქმედების უწყებამ არაფერი იცის და საქმეს ვერ გაუძღვებაო მიწათმოქმედების სამინისტრო აგრეთვე სახელმწიფო ქონებათა სამინისტროცაა და მის მოვალეობას შეადგენს სამკურნალო აბანოების დაცვა, როგორც ქონებისა. ხოლო აბანოების სამკურნალო მხარე კი სამკურნელო უწყების გამგებლობაში იქნება.

კამათი სწყდება.

მომხსენებელი დ. ონიაშვილი იცავს კანონპროექტს და უპასუხებს შენგელაიას, ღლონტს და მაჩაბელს.

მუხლობრივად განხილვის შემდეგ კანონპროექტი მიღებულია.

ზავის გარშემო

ინგლისში.

ინგლისური პრესა 27 ნოემბერი. საზღვარგარეთიდან მოსულ ცნობების ცენზურა გაგრძელდება ზავის ჩამოგდებამდე

მეორის დეკლარაციის თანახმად ახალი პარლამენტი 1 იანვრისთვის იქნება მოწვეული.

პარიზიდან იუწყებიან, რომ ბოსფორის სრუტე სრულიად გაწმენდილია ნაღმებისაგან.

ბრიტანიის ტყვეები ჯერ-ჯერობით არ გამოუყვანიათ ოსმალეთიდან. ტარეში ჩამოვიდა მხოლოდ ტყვების მცირე ნაწილი.

ბოსტონიდან იუწყებიან, რომ ქალაქის და ახლო-მახლო ადგილების მცხოვრებნი დიდი სიხარულით და ზეიმით შეხვდნენ ინგლისის 26 დივიზიის უფროსს მაიორ ედვარდს. რომოელიც მხოლოდ ახლა დაბრუნდა საფრანგეთში.

ინგლისის მეფე საფრანგეთში.

მეფე გიორგი ოთხშაბათს ჩამოვა საფრანგეთში და ღამეს გაათევს მენსიურ მერში. ხუთშაბათს დილით მეფე და ტახტის მემკვიდრე პარიზში ჩავიდნენ. მეფე გეორი, ტახტის მემკვიდრე და მეფე ალბერტი ლონდონიდან დღეს პარიზში გაემგზავრნენ. სადგურ ვიქტორიაზე მათ შეეგება უამრავი ხალხი.

პარიზის გაზეთი „მატენი“ სწერს: სიხარული, რომელსაც პარიზის მცხოვრ. გამოიჩენს მეფე გეორგის ჩამოსვლას, იქნება ერთსულოვანი. მეფე გიორგი ხელმძღვანელია იმ ხალხის რომელმაც სამშობლოს დასაცავად 7 მილიონი ჯარი მისცა. ის უმაღლესი ხელმძღვანელია იმ ფლოტის, ურომლოთაც ომი წაგებული იქნებოდა რამოდენიმე კვირაში, რომელმაც ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია წყალქვეშა ომს და უზრუნველჰყო მოკავშირეთა ბატონობა ზღვაზე. ამ ფლოტის წყალობით ჩვენ დავიმორჩილეთ გერმანიის ფლოტი, რომელსაც ეყრდნობოდა გოგენცოლერნთა ტახტი ინგლისის ჯარი ამ ომის განმავლობაში პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას. ორივე ერი მომავალში განამტკიცებს თავის მეგობრობას და მთელი თავის ენერგიას და მატერიალურ ქონებას ერთი-მეორის სასარგებლოდ შეადუღებს და გამოიყენებს.

საფრანგეთში.

ნოემბრი 27 საფრანგეთის ჯარი სტრასბურგში შევიდა ფრანგების ჯარის შესვლას მცხოვრებნი დიდი სიხარულით შეხვდნენ.

შეიარაღების სამინისტრო დაიშალა და შეიცვალა მრეწველობის განახლების სამინისტროთ.

დღეიდან ელზას-ლორენის და საფრანგეთის დანარჩენ ნაწილებს შორის საფოსტო მიმოსვლა რეგულიარულად სწარმოებს.

ხუთშაბათს პარიზში ინგლისის მეფეს და ინგლისის პრინც მოელიან.

რევოლიუცია გერმანიაში

მდგომარეობის გართულება.

„დეი-ლი-ქრონ იკლი“ აღნიშნავს, რომ გერმანიაში ქაოსია, პოლიტიკური მდგომარეობა თანდათან რთულდება და იხლართება. იმ დროს, როცა ახალ სოციალისტურ წყობილების შემოღება სურთ, ზოგიერთები დაუფარავად აღიარებენ თანაგრძნობას ძველ წესწყობილებისადმი.

მოსკოვის ცნობები

მოსკოვი, 27 ნოემ. ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. რევოლიუციონური მოძრაობა უკრაინაში ძლიერდება სკოროპადსკის მთავრობა ყველგან ჩამოაგდეს. აარსებენ საბჭოებს, „სამოსტიინიკების“ ხელმძღვანელი პეტლეურა პოპულიარობით არ სარგებლობს. ხარკოვში დაარსეს მუშათა დეპუტატების საბჭო. საბჭოს უმრავლესობა ბოლშევიკებისგან შესდგება მემარცხენე ესერები ყველგან დამარცხდა. მენშევიკები და მემარჯვენე ესერები ვერ ბედავენ ქარხნებში გამოსვლას. პეტლიურას ატამანი ბალბაჩანი შეეცადა მოძრაობის შეჩერებას. აკრძალა კრებები და მიტინგები, მიუხედავად ამისა მუშები განაგრძობენ არჩევნებს და მიტინგებს აწყობენ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოუშვა ბოლშევიკური მოწოდება გერმანელ ჯარის-კაცებმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს და პეტლიურას ბრძანებას არ ასრულებენ. დონეცის ოლქში ბრიანსკის მაღაროებში, ენაკოვოში, სლავიანსკში, ორლოვკაში, ალმაზნაიში და ლისჩანსკში 20 ნოემბერს დემონსტრაციები მოხდა. კრასნოვის თეთრ გვარდიელები ებრძვიან საბჭოებს და აპატიმრებენ მუშებს. კიევთან, გეტმანის და პეტლიურას ჯარს შორის ბრძოლაა. ტაგანროგში ქარხნები არ მუშაობს, მუშები უარს ამბობენ ყუმბარების დამზადებაზე. ცენზურა არ უშვებს ცნობებს უკრაინის შესახებ. ოდესის ქარხნებში დაყარეს ბოლშევიკური პროკლამაციები, რომელიც მოუწოდებს მუშებს გამოვიდნენ სამოქმედოთ და დაარსონ საბჭოები. უკრაინის მეამბოხე ბოლშევიკები პროპაგანდას ეწევიან გერმანელ ჯარისკაცებში. სადგურ შაკოვოიზე გერმანელნი მეამბოხეთ დახმარებას დაჰპირდნენ. კიევში გერმანელ ჯარისკაცებში აგიტაციის გამწევთ სდევნიან, მათ წინააღმდეგ მკაცრი ზომებია მიღებული, აგიტატორებს ხვრეტენ. სევასტოპოლიდან იუწყებიან, რომ შავ ზღვაში მოკავშირეთა ფლოტი არ არის. შეეცადენ რადიოს საშვალებით დალაპარაკებას, მაგრამ პასუხი არ მიიღეს. გერმანია, ნაუენი, ნოემბრის 25. ბერლინის საბჭოს ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მოწოდება საბჭოთა ყრილობის მოწვევის შესახებ. ყრილობის პროგრამაა: დროებითი ცენტრალურ საბჭოს არჩევნები, საბჭოს არჩევნების საერთო სისტემის შემუშავება და დამფუძნებელ კრების საკითხის გადაწყვეტა. გერმანიის მთავრობას მოლაპარაკება აქვს პოლონეთთან აღმოსავლეთიდან სურსათის და გერმანიის სამხედრო ნაწილების გაშვების შესახებ. ნუენი, ნოემბრის 25. გერმანიის ჯარის მიერ პოლონეთის ოკუპაცია ფაქტიურად შესწყდა. პოლონელი სტუდენტები—ლეგიონერები იარაღს ყრიან გერმანელ ოფიცრებს და ჯარისკაცებს, ბოლშევიკურ გამოსვლის წინააღმდეგ მიღებულია ზომები.

იტალია. ავსტრიიდან იტალიის სამხედრო ტყვეებს სამშობლოში გზავნიან. პარიზი 26 ნოემბერი, სენის დეპარტამენტის სოციალისტების სხდომაზე რუსეთის გამცემ სოციალისტების რუსანოვის, აკსელროდის და სუხომლინის დეკლარაცია მოისმინეს. დეკლარაცია საბჭოთა წინააღმდეგ არის მიმართული და ამტკიცებს, რომ ბოლშევიკებმა რუსეთის მიწათმოქმედება და ვაჭრობა გაანადგურეს. პსკოვი 26 ნოემბერი, პსკოვის აღების დროს ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდეს ყუმბარების დიდი საწყობი. თეთრ გვარდიელთა ბანაკში. ვორონეჟი 26 ნოემბერი, როსტოვში აკრძალეს პროფესიონალურ ორგანიზაციების კრებები. პროფესიონალურ კავშირების საბჭოს ბინას რეკვიზიცია უყვეს სამხედრო საჭიროებისთვის. ეკატერინოდარში მუშათა ჩხრეკამ და დაპატიმრებამ მასიური ხასიათი მიიღო. დააპატიმრეს 1600 კაცზე მეტი: ვორონეჟი, 26 ნოემბერი საეფარქიო კრებამ მღვდლებს შემდეგი მოწოდებით მიმართა: „თუ თვით ხალხი არ დაიცავს საეკლესიო მამულებს, იმ შემთხვევაში დახურეთ ეკლესიები“. მოსკოვი, 26 ნო ბერი მოსკოვის საბჭოს სხდომა. დღ ვანდელ მოსკოვის საბჭოს სხდომაზე რ კოვსკიმ მოხსენება გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობაზე. მომხსენებელი შეეხო მოკავშირეთა წინსვლას და სთქვა, რომ რუსეთის აქტიური მოწინააღმდეგე ინგლისი იქნება, რომლისთვისაც ჩვენ საშიში მტერი ვიქნებით აზიაში. ინგლისი ეცდება მხარი დაუჭიროს ჩვენში კონტრ-რევოლიუციას, გადმოსხამს დესანტს რიგაში, ლიბავაში, დაიჭერს პეტროგრადს, მაგრამ ყველა ეს მხოლოდ დემონსტრაცია იქნება. ფრონტის შესახებ მოხსენებას აკეთებს სადოვნიკოვი. მომხსენებელი აღნიშნავს საბჭოთა წითელი არმიის სიმამაცეს და ამტკიცებს, რომ ჯარის ორგანიზაცია თანდათან ძლიერდება. მოხსენების შემდეგ მიიღეს რეზოლიუცია: „მოსკოვის საბჭო რუსეთის და მთელი ქვეყნის მშრომელთა მასის ყურადღებას მიაქცევს იმ საფრთხეს, რომელსაც უმზადებს მას მოკავშირეთა იმპერიალიზმი. მოსკოვის საბჭო მოუწოდებს ყველა მოქალაქეთ თავი მოიყარონ მუშათა და გლეხთა მთავრობის გარშემო, რათა მოიგერიონ ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმი, რომელსაც მშრომელთა მონობა სურს. მოსკოვის საბჭო მიესალმება ყველას, ვინც უარყო თავის შეცდომა, მზათაა რევოლიუციის დამცველთ გვერდში ამოუდგეს და ებრძოლოს ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმს. წითელ არმიაში და საორგანიზაციო მუშაობაში უნდა მიიღოს მონაწილეობა საბჭოთა რესპუბლიკის ყველა პატიოსან მოქალაქემ შემდეგ რეზოლიუცია მიესალმება ბერლინის საბჭოს იმის გამო, რომ მან გადასწყვიტა საბჭოთა ცენტრალურ მთავრობის და სოციალისტურ ჯარის შედგენა.

ახალი ამბავი

◆ **ქართულ კლუბის თეატრში.** პარასკევს, ნოემბრის 29 ქ. ქ. ელ. ჩერქეზიშვილის, ნ. ჯავახიშვილის და ვასო აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „არშინ-მალ-ალან“.

◆ **მიხაბაძი მაგალითი.** ქართულ სამუსიკო საზოგადოებას შემოსწირეს ნინო ნიკ. გ—სამ 500 მან, ნ. ალიხანოვ-

მა—300 მან., გიორგი და ნორინა მაჩაბლებმა 200 მან., რისთვისაც საზოგადოების გამგეობა უძღვნის შემომწირველთ უღრმეს მადლობას.

◆ **მორიგი კრება ქართველ ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზოგადოებისა** მოხდება შაბათს, 30 ნოემბერს საღამოს 8 საათზე ვაჟთა პირველ გიმნაზიის შენობაში. წესრიგი: 1) მოხსენება ექ. თიკანაძისა—ა) მომყოლის წინამდებარეობა, ვითარცა საბაბი საკეისრო გაკვეთისა საშოს მხრივ; ბ) ბალბის ძირი, როგორც საშვალება ბოროტ-განზრახვით მუცლის მოწყვეტისა და მისი მავნე შედეგები (ტეტანუსის ორი შემთხვევის გამო). 2) მოხსენება ექ. მუხაძისა—ორი შემთხვევა ფარბადის აბსცესისა (абсцесс брыжейки) 3) მიმდინარე კითხვები. მდივანი საზოგადოებისა, მ. წინამძღვრიშვილი.

◆ **ახალი წიგნი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასაყიდად სამ. ფირცხალავას წერილები „ეროვნება და ეროვნული თავისუფლება“, გამოცემა ალ. არაბიძისა.

◆ **რკინის გზელთა კრება.** კვირას, დეკემბრის 1-ს 10 საათზე პარტიულ დარბაზში დანიშნულია სახაზინო რკინის გზის სოც.-ფედერ. პარტიის წევრთა მოსამსახურეთა საზოგადო კრება. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

◆ **თავის მოკვლა.** ნოემბრის 27-ს არქიპის შესახვევში № 1 ბრაუნინგით თავი მოიკლა ე. ჯანაშვილმა.

◆ **სამხედრო მინისტრის დაბრუნება.** ამ დღეებში ტფილისში დაბრუნდა სამხედრო მინისტრი გიორგაძე. მინისტრი თვით დარწმუნდა, რომ ჯარი სურსათის მხრივ სრულიად უზრუნველ ყოფილა.

◆ **ლექციები.** დღეს, ნოემბრის 29 საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია ლექცია: 1) კოლ. ქავთარაძე „ისტორია“, 2) ალ ჟორჟოლიანი „პსიქოლოგია“.

◆ **ასკერები.** ნატანებიდან სადგურის უფროსი დეპეშით ატყობინებს გენერალ-გუბერნატორს, რომ ოსმალთა ასკერებმა სადგურზე უწესოება მოახდინეს: არ დაგვაცალეს მატარებლის შესახებ ცნობები შეგვეგროვებია,—მოგვთხოვეს დაუყოვნებლივ გაგვეგზავნა. მე შევეცადე საქმე მშვიდობით მომეგვარებია, მაგრამ იმათ მუქარით მომმართეს და ძალით გამგზავრენო.

◆ **დანიშვნა.** გარეშე საქმეთა მინისტრმა საქართველოს კონსულად ნოვოროსიისში დანიშნა პეტრე მ. ჩინიჯაშვილი. მას მიანდო გამოაცხადოს და შეატყობინოს საქართველოში წამომსვლელთ, რომ ისინი შემოშვებული იქნებიან საქართველოს ტერიტორიაში მხოლოდ მისი ნებართვით.

◆ **გვამი.** 28 ნოემბერს ღამით მე-8 კომისარიატის რაიონში, არსენალის ახლო იპოვნეს უცნობის გვამი. როგორც სჩანს ის ძალით არის მოკლული.

◆ **ოსმალების ჯარი განჯაში.** კერძო ცნობების მიხედვით ქალ. განჯაში 3 დივიზია ოსმალეთის ჯარი დგას. ადერბეიჯანის მთავრობა შუამდგომლობს მათი დატოვებისათვის.

◆ **ქურდობა** 27 ნოემბერს გ. მარტიროზოვის სახლიდან (აჯამეთის შესახვევში № 6 უცნობებმა გასტეხეს სახლი და წაიღეს სხვა და სხვა ნივთები, ღირებული სულ 4710 მანეთად.

— ამავე დღეს სემიონოვის ქუჩაზე ქესანაშვილის საკუთარი სახლი უცნობებმა გასტეხეს და წაიღეს ძვირფასი ნივთები ღირებული 2300 მანეთად.

◆ **ადერბეიჯანის პარლამენტი,** როგორც ტფილისში მოსული ცნობებიდან სჩანს, იქნება გადარქმეული „მეჯლის“-ად. მეჯლისში შესდგება 120 წარმომადგენლისაგან, რომელთა შორის 25 კაცი სომხებისაგან იქნება.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ოთხშაბათს, 27 ნოემბერს პარტიულ ბიუროში ამხ, ალ. წერეთელმა წაიკითხა მოხსენება: „საქართველო და ინგლისი“. მომხსენებელმა დაახასიათა ინგლისის კოლონიონალური პოლიტიკა საერთოდ, და კერძოდ ის ხანგრძლივი ბრძოლა, რომელსაც მის წინააღმდეგ აწარმოებდა ირლანდია და ბურები. შემდეგ მომხსენებელი საქართველოს დამოკიდებულებას შეეხო ინგლისთან. მომხსენებლის აზრით ჯერ-ჯერობით გადაჭრილი აზრის გამოტანა არ შეიძლება იმის შესახებ, თუ რა გზას დაადგება ინგლისი საქართველოს მიმართ, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის უნდა ვემზადოთ, ყოველგვარ მოულოდნელობისათვის.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ ვ კოტეტიშვილმა და ქ. რაჭველიშვილმა.

კრება მრავალრიცხოვანი იყო

—

ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა კრება. კვირას, 1 დეკემბერს, დღისით სწორედ 12 საათზე პარტიულ კლუბში დანიშნული ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტის სოც.-ფედ. სტუდენტთა დამფუძნებელი კრება. კრება კანონიერი იქნება, მიუხედავად დამსწრეთა რიცხვისა.

ს.-ფედ სტუდ. მთავარი ბიურო.

—

ვერის რაიონის სოც.-ფედ. კრება შესდგება დღეს, ნოემბრის 29-ს საღამოს 6 საათზე პარტიულ ბიუროს დარბაზში (ლორის-მელიქოვის ქ. № 1.) ამხანაგებს ვსთხოვთ აუცილებლად დაესწრნენ, რადგან განსახილველია ფრიად საჭირო საკითხები.

—

კრება კლუბში. კვირას დეკემბრის 1 სოციალისტ ფედერალისტთა კლუბში მოხდება საზოგადო კრება. მოხსენებას კითხულობენ დღევანდელ მომენტის შესახებ შემდეგი პირები: **გ. ლასხიშვილი, სამსონ ფირცხალავა, გრ. რცხილაძე** და სხვები.

—

სოციალისტ-ფედერალისტთა სამხედრო საბჭოს გამგეობა სთხოვს ამხ. რაზმელებს წარმოადგინონ ბიუროში თავიანთი სურათები.

სოც.-ფედ. მუშათა კავშირის კრება შაბათს ნოემბრის 30-ს, საღამოს 7 ნახ. საათზე მუშათა კავშირის კრებაა დანიშნული გაზ. „სოციალისტ ფედერალისტის“ რედაქციაში პარტიულ ბინაზე. ამხანაგებს დააჟინებით ვთხოვთ დაესწრონ ამ კრებას განსახილველია ფრიად საყურადღებო საქმეები, სხვათა შორის გაზ. „სოც.-ფედერალისტს“ მადლობა.

პროკლამაცია გენ. ტომსონისა

გაზ. „ადერბეიჯანში“ ნოემბრის 24-ის ნომერში დაბეჭდილია შემდეგი პროკლამაცია გენ. ტომსონისა:

ამით ვაუწყებთ კავკასიის მცხოვრებლებს, რომ მიზანი მოკავშირეთა ჯარის გამოგზავნისა კავკასიაში არის—დამყარება საზოგადოებრივ უშიშრობისა იმ რუსეთის ტერიტორიაზე, რომელიც შავ და კასპიის ზღვების შუა იმყოფება, ყურადღების მიქცევა, რომ დაცულ იქნას საზავო პირობები, რომლის გარანტიაც მისცეს ოსმალეთს მოკავშირეებმა, და დაცვა კანონის და წესიერებისა; ამასთანავე გვაქვს მხედველობაში, რომ **საბოლოვო გადაწყვეტილებას გამოიტანს საზავო კონფერენცია,** რომელიც გადასწყვეტს ყველა კითხვებს, რომელნიც ეხებიან ამ ტერიტორიას.

მოკავშირეთა ჯარების უფროსი
ტომსონი.

მთავრობის ცნობა

ამ ბოლო ხანს ქალაქში განგებ ავრცელებენ ხმას, ვითომც ინგლისელ-ფრანგები მოდიოდნენ ჩვენში მტრულის განზრახვითა და მიზნით.

იმ უტყუარი საბუთების და მასალის მიხედვით რომელიც ხელშიც აქვს, მთავრობა საჭიროდ სთვლის განაცხადოს რომ არც ინგლისი, არც საფრანგეთი და არც რომელიმე სახელმწიფო არა თუ არ არიან გამსჭვალული ჩვენი ხალხისადმი მტრული განზრახვით, არამედ აღჭურვილი არიან ჩვენდამი სრულის ნდობითა და მეგობრულის გრძნობით.

პარლამენტის გარშემო

კვირას 1 დეკემბერს, 12 საათზე მოხდება არაჩვეულებრივი სადღესასწაულო სხდომა საქართველოს პარლამენტისა მის არსებობის ნახევარი წლის აღსანიშნავად. ამ დღეს დასწრება შეუძლიათ მხოლოდ პარლამენტის წევრებს და პრესის წარმომადგენლებს. გარეშე საზოგადოებამ განსაკუთრებული ბილეთები უნდა აიღონ შაბათს. პარლამენტის კვესტორთან. პარლამენტის თავმჯდომარე გააკეთებს მოხსენებას. ილაპარაკებენ აგრეთვე ფრაქციების წარმომადგენლები.

სამინისტროებში

განათლების სამინისტრო

ოსების შუამდგომლობა. ოსების ერ. საბჭომ განათლების მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა საქართველოს მთავრობამ თავისი ხარჯით ცხინვალში გახსნას ოსური გიმნაზია, სადაც სწავლა ოსურსა და რუსულს ენაზე იქნება, ხოლო ქართულ ენის გაკვეთილებს საპატიო ადგილი დაეთმობა, მინისტრმა ამ შუამდგომლობას შემდეგი რეზოლიუცია წააწერა: ცხინვალში მთავრობის ხარჯით გაიხსნას გიმნაზია იმ შემთხვევაში, თუ სწავლება მხოლოდ ოსურ ენაზე იქნება, ხოლო თუ ოსები ამას არ დასთანხმდებიან, მაშინ თავიანთ ხარჯით გახსნან აღნიშნული გიმნაზია.

ყოველ შემთხვევაში მინისტრს საჭიროდ მიაჩნია ეს საკითხი მაისამდე გადაიდოს, რადგან ცხინვალში ამ ჟამად გადაწყვეტილია მთავრობის ხარჯით პროგიმნაზიის გახსნა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საზოგადო კრება და გამგეობის არჩევა

კვირას, ნოემბრის 24-ს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგა საზოგადო კრება სტუდენტთა და მსმენელებისა ძველი გამგეობის ანგარიშების მოსასმენად და ახალი გამგეობის ასარჩევად. დაესწრო ოთხასამდე კაცი. კრება მეორედ იყო მოწვეული და ამიტომ კანონიერად ჩაითვალა. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ამხ. კოტე კობახიძე, მდივნად ამხ. სავლე აბულაძე. დღის წესრიგში დაისვა საკითხები: 1) ძველი გამგეობის მოხსენება, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) მიმდინარე საკითხები, 4) ახალი გამგეობის არჩევა და 5) წესდების განხილვა. რიგს გარეშე შემოვიდა წინადადება სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციისა გაეგზავნოს მისალმებანი 1) გერმანიის მუშათა საბჭოს თავმჯდომარეს, 2) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, 3) საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს, 4) სახალხო განათლების მინისტრს და 5) სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს. წარმოდგენილი ტექსტი დეპეშებისა მიღებულ იქმნა ტაშისცემით და მცირედის შესწორებით. მოგვყავს ეს მილოცვები და მისალმებანი:

1. ბერლინი. მუშათა საბჭოს თავმჯდომარეს.

117 წლის მონობის შემდეგ რევოლიუციის მონაპოვარით განთავისუფლებულ საქართველოს დედა ქალაქ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა პირველი საერთო კრება მიესალმება გერმანიაში მომხდარ რევოლიუციას. ღრმათა სწამს, რომ ეს იქნება ნიშნის მიმცემი საერთაშორისო რევოლიუციისა, რომელიც კარდინალურად შესცვლის დრომოჭმულ სახელმწიფოებრივ და კლასობრივ ურთიერთობას, მცირე ეროვნებათა და მშრომელი კლასის ჩაგვრაზე დამყარებულს.

პატარა საქართველოს მთელი მოზარდი თაობა მანუგეშებელ იმედით შესცქერის სოციალურად გათანასწორებულ კულტურულ ერთა თავისუფალ კავშირში თავისუფლად შესვლის შესაძლებლობას, რაც აუცილებელი შედეგი იქნება საერთაშორისო რევოლიუციისა.

2. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა პირველი საერთო კრება თქვენი სახით გულმხურვალედ მიესალმება 117 წლის მონობიდან განთავისუფლებულ საქართველოს საკანონმდებლო დაწესებულებას, საქართველოს პარლამენტს და იმედს გამოსთქვამს, რომ იგი შესძლებს ამ დახლართულ საერთაშორისო მდგომარეობაში ქართველი ერის დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და რევოლიუციის მონაპოვართა განმტკიცებას.

3. მთავრობის თავმჯდომარეს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კრება თქვენის სახით მიესალმება საქართველოს რევოლიუციონურ მთავრობას, ღრმად სწამს, რომ რევოლიუციაში გაკაჟებული მთავრობის წარმომადგენლობა თვის გამოცდილებას და სასიცოცხლო ენერგიას შესწირავს საქართველოს ხალხის ეროვნულს და სოციალურ თავისუფლებას.

მსოფლიო რევოლიუციის განთიადზე მდგომნი იმედს გამოვთქვამთ, რომ ქართველი მშრომელი ხალხი დაუბრკოლებლად მიიღებს სოციალური თავისუფლების მაქსიმუმს. ქართველი სტუდენტობა ფიცსა სდებს, რომ ეს უმაღლესი იდეალები კაცობრიობისა სოციალური და ეროვნული თავისუფლებანი თვისი მჩქეფარე სისხლით დაიცვას.

4. სახალხო განათლების მინისტრს.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა პირველი საერთო კრება მიესალმება განთავისუფლებულ საქართველოს განათლების მინისტრს, ღრმად სწამს, რომ ენერგიული მუშაობა ჭალარა რევოლიუციონერისა ქართველი ხალხის განათლების საქმეს დააყენებს ჭეშმარიტ გზაზე და ქართველი დემოკრატიის გათვითცნობიერებით ურყევ ნიადაგს მოუპოვებს საქართველოს დამოუკიდებლობას და უმაღლეს კულტურისკენ გაქანებას.

5. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო კრება თქვენის სახით მიესალმება უმაღლესი კულტურის შუქმფენს სახელმწიფო უნივერსიტეტს, უეჭველ სწამს, რომ იდეით გატაცებული პროფესორთა კორპორაცია შესძლებს საქართველოში მეცნიერების აყვავებას და საკაცობრიო კულტურის სალაროში თვალსაჩინო ადგილის მოპოვებას.

ამის შემდეგ ძველი გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგმა ბ. იასონ ჯავახიშვილმა გააკეთა მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ დღიდან არჩევისა. აღნიშნა ის პირობები, რომელშიაც მას უხდებოდა მუშაობა, მისი მოღვაწეობის ხანმოკლეობა: გამგეობა აირჩია მომდინარე წლის თებერვლის დამლევს) აღნიშნა აგრეთვე რომ გამგეობა შესდგებოდა პარტიათა წარმომადგენლებისაგან, რომელთა შორის 10 იყო სოც. ფედერალისტი, 5 სოც. დემოკრატი, 5 ნაც.-დემოკრატი და 1 რად.-დემოკრატი—სულ 21 კაცი. გამგეობის კრება მოხდა ოცდასამჯერ მის საზრუნავ საგანს შეადგენდა:

I ეკონომიური დახმარების გაწევა სტუდენტ-მსმენელთათვის 1) ბინის საკითხზე ზრუნვა დაიწყო გამგეობამ დღიდან არჩევისა. შარშან გამგეობამ როგორც იყო მოახერხა ბინის შოვნა, წელს ის ბინა უვარგისობის გამო მიტოვებულია. ხელახლად ნაშოვნი ბინა ხელიდან გამოეცალა გამგეობას, რადგანაც ძლიერი კონკურენტი გაუჩნდა ქალაქის მილიციის უფროსის სახით, რომელსაც ის ბინა გადაეცა ქალაქის თვითმართველობისაგან 2) ტრამვაიზე რომ დაკლებულ ფასში მისცემოდათ ბილეთები სტუდენტებს გამგეობამ მრავალი შუამდგომლობა აღძრა, რაც ჯერჯერობით უშედეგოდ ჩატარდა. 3) სასადილოს საკითხი: წელს სურსათის კრიზისის გამო ვერ მოგვარდა, გაიხსნა მხოლოდ უნივერსიტეტში კერძო პირის მიერ საჩაიე-სასადილო, რაც გამგეობის მიზანს არ შეადგენდა. გამგეობა უკანასკნელ ჟამამდე ცდილობდა სასადილოს კოოპერატიულ საფუძველზე მოწყობას, ამისათვის ყოფილ წითელი ჯვრის საზოგადოებიდან დიდ ძალი ქონება აქვს დათმობილი გამგეობას, რის შერჩენა-ხელიდან გაშვება, სხვათა შორის, ახალ გამგეობის მოხერხება—ცდაზე იქნება დამოკიდებული. 4) დამხმარე კასას აქტივობა მაინც და მაინც არ გამოუჩენია: ორს ხელმოკლე ამხანაგს სესხად მიეცა სამას-სამასი მანეთი.

II. აკადემიურ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაც გამგეობამ შეძლების დაგვარათ სცადა. 1) ლექციების გამოცემა აღიარა აუცილებელ საჭიროებად, რადგან წესიერი განათების უქონლობის გამო მათი ჩაწერა ვერ ხერხდებოდა. პირველად გამგეობამ მოიწვია ჩამწერლები, მაგრამ იმათგან ჩაწერილი ვერ გამოდგა დასაბეჭდად. პროფესორებმაც ვერ გადმოსცეს გამგეობას მათი ლექციები წერილობით, მიუხედავათ მრავალი თხოვნისა, გარდა პრ. გიორგი ახვლედიანისა, რომელმაც თავის კურსი ენათ მეცნიერებისა დასწერა და გადმოსცა გამგეობას. გამგეობამ ეს ლექციები დაბეჭდა ორ წიგნათ 2000 ცალი. 5) სამეცნიერო წრის მუშაობა გამგეობამ მოაწყო პრ. ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, შემუშავებულ იქნა ტერმინოლოგია ცოდნის ზოგიერთ დარგში, რითაც უკვე ისარგებლეს ჩვენმა სახელმწიფო დაწესებულებებმა. გამგეობამ აგრეთვე იკისრა ჩ. ჟიდის პოლიტიკური ეკონომიის ქართული თარგმანის გავრცელება, რაც სწარმოებს სასურველად.

მომხსენებელმა თავისი სიტყვა დაათავა იმით, რომ გამგეობის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯარში ჩაეწერა სამშობლოს უკიდურეს განსაცდელის დროს და სისხლით იცავდა ჩვენს დამოუკიდებლობას და ამიტომაც გამგეობას აღნიშნულზე მეტის გაკეთება არ შეეძლო. საზოგადო კრება კმაყოფილი დარჩა გამგეობის მოქმედებით და ტაშით დააჯილდოვა მომხსენებელი.

სარევიზიო კომისიის სახელით ამხ. პეტრე კოპაძემ დაადასტურა გამგეობის მოხსენება, ხაზი გაუსვა რომ ჯეროვნად უზრუნვიათ ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და მოიყვანა წლის ანგარიში: შემოსავალი იყო 18481 მ. 70 კ. ხარჯი 459300 ამ ჟამად სალაროშია 8888 მ. 70 კ.

სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ ერ. დემოკრატების სახელით დგებუაძე—ს. რევოლიუციონერებისა—ჩიქობავა, ს.-დემოკრატებისა—აკ სიგუა და ს.-ფედერალისტებისა—შ. კიკნაძე კმაყოფილებას გამოსთქვამენ გამგეობის მოქმედების გამო. ერთხმად მიღებულ იქნა ს.-ფედერალისტების წინადადება: „კრებამ მოისმინა რა ძველი გამგეობის წევრის მოხსენება და მიიღო რა მხედველობაში ის ძნელი პირობები, რომელშიაც მას უხდებოდა მუშაობა, სცნობს გამგეობის მუშაობას დამაკმაყოფილებლად უცხადებს მადლობას გამგეობის წევრებს და გადადის მორიგ საკითხზე“. მიმდინარე საკითხებში მომავალ სამოქმედო გეგმის შესაგებ თავის მოსაზრებას ადგენს აკ. სიგუა, რაც დადგენილ იქნა მიიღოს მხედველობაში ახალმა გამგეობამ. მომავალ სამოქმედო გეგმის გარკვევაში მონაწილეობა მიიღეს სხვა ორატორებმაც, მაგრამ არსებითად ახალი არაფერი უთქვამთ იმაზე მეტი, რაც გამგეობის მოხსენებაში იყო აღნიშნული.

ჯერი მიდგა ახალ გამგეობის არჩევაზე ამხ. შალვა კიკნაძე აცხადებს, რომ ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ მოხდა შეთანხმება ფრაქციებისა, რომლის ძალითაც სოც.-ფედერალისტებს უნდა ყავდეთ გამგეობაში 13 კაცი და დანარჩენ პარტიებს—12.

ს.-რევოლიუციონერთა მცირე ჯგუფის სახელით ჩიქობავამ განაცხადა, რომ ისინი არ შედიან გამგეობაში და თუ რას ფიქრობენ ისინი, ამას იტყვიან მომავალ საზოგადო კრებაზე ერთი წლის შემდეგ. დანარჩენმა ფრაქციებმა განაცხადეს, რომ ისინი ასრულებენ შეთანხმების პირობებს. ამრიგად ახალ გამგეობაში აირჩა 25 კაცი, ამათში 13 ს.-ფედერალისტი: სახელდობრ: კოტე კობახიძე, დავით მგალობლიშვილი, შალვა კიკნაძე, კოტე ნაროუშვილი, გედევან სვანიძე, პეტრე კოპაძე, სავლე აბულაძე, კოწია ლორთქიფანიძე, ვარლამ ძიძიგური, გიორგი ნაკაშიძე, გოგუცა ჯანელიძე, პლატონ კორძახია და შალვა ხავთასი. ეროვნულ-დემოკრატები 6: ელისე პატარიძე, გიორგი ფერაძე, დგებუაძე, აკაკი ნიშნიანიძე, ზაალ ჩიხლაძე და ივ. კანდელაკი დამოუკ. ნ.-დ.: ივანე ცხადაძე, სოციალ-დემოკრატებიდან 5: აკაკი სიგუა, იოსებ ირემაშვილი, ილია კობალაძე, მიხეილ კვატაშიძე და ირადიონ ქავჟარაძე.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქმნა 3 სოც.-ფედ.: ფატი ხუნდაძე, ესტატე მონიავა და სერგო ჩახუნაშვილი. 1 ერ.-დემ. გ. მერკვილაძე. 1 სოც.-დემ. (ჯერ არ დაუსახელებიათ).

კრება ტაშის ცემით შეხვდა ახალ გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევას და რადგან უკვე გვიან იყო, წესდების განხილვა მახლობელ საზოგადო კრებისათვის გადასდო, რომელზედაც ახალმა გამგეობამ უნდა წარადგინოს ეს წესდება თავისი შენიშვნებით შესაცვლელად და დასადასტურებლად, მადლობა გადაუხადა ამხ. თავმჯდომარეს კრების ნაყოფიერად გაძღოლისათვის და კრება საღამოს ხუთის ნახევარზე დაიშალა.

ელგა.

ფოთის ქალაქის საბჭო

არა ჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა ქალაქის თვითმართველობის ნოემბრის 16 ს სხდომა. როგორც ამ სხდომამ დამარწმუნა, მეტად გამოფხიზლებული, მომზადებული, დაინტერესებული და კრიტიკის თვალსაზრისით გაჟღენთილი ხმოსნები წარმომიდგა თვალწინ, რაც იშვიათად ხდებოდა წინად და ყოველივე საკითხი წყდებოდა ხოლმე ერთი თავის დაქნევით და თითის აწევით.

წარმოიდგინეთ შეკითხვებსაც ჰქონდა ამ დღეს ალაგი და თვით სოც.-დემ. თავიანთ ამხანაგებს, გამგეობის წევრებს აძლევდნენ შეკითხვას და ეკამათებოდნენ.

კრება დაიწყო საღამოს 8 ს. 45 წ. სხდომას დაესწრო 17 ხმოსანი (გამგეობის წევრების გარდა) თავმჯდომარე-

ობს არ. სამხონაძე. თავმჯდომარემ სხდომის გახსნისას მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრეთ დღევანდელი პოლიტიკური ვითარების შესახებ და აღნიშნა გერმანიის შემოსვლა საქართველოში და მათი ქართველებისათვის სარგებლობის მოტანა. შემდეგ იხსენიებს ორატორი გერმანელების რევოლიუციონურ მოძრაობას და გერმანიაში თავისუფლების გამოცხადებას და წინასწარმეტყველებს რევოლიუციის ნაპერწკლის გადიდებას—განვითარებას და ინგლის საფრანგეთში და სხვაგან გადასროლას.

ამის შემდეგ გამგეობის წევრს მ. ესაკიას (ს. ფ.) შემოაქვს დღიურ წესრიგში ახალი კითხვა: ახალი ხმოსნების არჩევნების შესახებ, რომელსაც კრება ღებულობს ერთხმად.

მდივანი კითხულობს წინანდელ კრების ოქმს. ოქმში შესწორებანი შეაქვს გ. წ. მ. ესაკიას. ხმოსანი კ. მიქაბერიძე (უპარტიო) მოითხოვს, რომ ოქმი იქმნას შედგენილი კონკრეტიულად. რა საჭიროა, ამბობს ის,—ყველა ხმოსნების აზრიანი და უაზრო სიტყვების შეტანა. ოქმის დამტკიცების შემდეგ ხმოსნებს შემოაქვთ სხვა და სხვა შეკითხვები; სახელდობრ: ავადმყოფობის გაძლიერება ქალაქში, აფთიაქების უწესრიგობა, ექიმების უდიერობა და სიძვირე, სიბინძურე, ბირჟის გახსნის და კუნძულის სასაფლაოს დაგვიანების შესახებ. ხმოსნები ყველა ამ შეკითხვებზე გამგეობის წევრების განმარტებით კმაყოფილდებიან და გადადიან დღის წესრიგის მუხლობრივ განხილვაზე.

ახალი ხმოსნების არჩევნების შესახებ მომხსენებელი ქ. თავის მოადგილე ს. კორძაია აღნიშნავს, რომ ახლანდელი ხმოსნების ვადა თავდება ამ წლის ბოლოს. მთავრობისაგან მივიღეთ განკარგულება, რომ აუცილებლად არჩევნები მოვახდინოთ, რომელიც უნდა დამთავრდეს 1 იანვრამდი. ეხლა მართალია იანვრისათვის ვერ მოვასწრებთ არჩევნები მოვახდინოთ, მაგრამ წინასწარ მუშაობას მაინც უნდა შეუდგეთ. გამგეობა წინადადებას იძლევა დღესვე არჩეულ იქნას საარჩევნო კომისია. კრებამ მოხსენება მიიღო ცნობად და გადასწყვიტა 6 კაცისაგან შესდგებოდეს კომისია. სოც.-დემ. წამოაყენეს 3 კანდიდატი: ლ. ტუღუში, გ. ხოფერია და კ. ქლენტი; დანარჩენ პარტიებმა კი თითო თითო: უპარტიომ—ს. გაგუა, სოც.-რევ.—ეჯიბია და სოც. ფედ. ვ. ჯაფარიძე.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს გ. წ. მ. ესაკია. (ს.-ფ.) ნავთსადგურში ქალაქის საწყობის იჯარით გადაცემის შესახებ. საწყობი დღემდის ჰქონია იჯარით პარამანოვს და ეხლა გამგეობას ვაჭრობით გაუცია იგი. ვაჭრობაზე საწყობი დარჩენია ქებაძეს 33500 მან. წლიურად მოხსენებას კრება ამტკიცებს.

ელექტრონის ენერგიის ფასის გადიდების შესახებ გ. წ. ვ. ქუთათელაძე (ს. დ.) ამცნობს კრებას, რომ პროექტი შემოტანილია ქალაქის ინჟინრის მეგლაძის მიერ, რომელსაც უხელმძღვანელებია ის მოტივი, რომ დღევანდელი სიძვირე და მუშების ჯამაგირები გადიდებით უზრუნველყოფა გვაიძულებს ჩვენ მოუმატოთ ენერგიის ფასით გამგეობამ ამას მიაქცია ჯეროვანი ყურადღება და პროექტი დაამტკიცა. შემდეგ მომხსენებელი კითხულობს ფასის გადიდების ნიხრს. ინჟინერი მეგლაძე, რომელიც სხდომას ესწრება, ამ პროექტს იმეორებს უფრო ვრცლად. კითხულობს შემოსავლის ანგარიშს და განმარტებას აძლევს ხმოსნების შეკითხვებს.

ხმ. ბდუშელიშვილი, მიქაბერიძე. (უპ.) და სხ. პროექტს არ ეთანხმებიან და უსამართლოდ სთვლიან ფასის მომატებას და მოითხოვენ არა იმდენი ფასი იქმნას გადახდილი რამდენი ლამპები უკიდია მომხმარებელს, არამედ იმდენი, რამდენ ენერგიას ხარჯავს. „სჩოტჩიკების“ გამოანგარიშებით დღეს ამბობენ, ისინი, განათების საკითხი ქალაქში ნორმალურად არ სწარმოებს; ხან უდრო დროზე ქრება, ხან კვირაობით განათება არ არის. ასეთ უდღერობას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. კრების უმრავლესობამ გამგეობის პროექტი დაამტკიცა.

საადგილ-მამულო სამინისტროს მოწერილობა ქალაქის ტყეების ჩამორთმევის შესახებ იმავე გ. წ—მა მოახსენა ხმოსნებს, რომ ჩვენ გამოცხადებული გვჰქონდა პრესაში ქალაქის ტყეების იჯარით გაცემაზე ამ განცხადებას მთავრობამ მიაქცია ყურადღება და მოგვწერა, რომ არავითარი გზით არ გაიცეს ტყე და გარდა ამისა ჩამოერთვას ყველა ტყეები გადაცემულათო.

ჩვენ კი გაცემა გვინდოდა ტყეების იმიტომ, რომ ქალაქს შეშა შემოაკლდება თუ იჯარით არ გაიცეთ. ამიტომ გამგეობამ დაადგინა გაეგზავნოს მთავრობას შუამდგომლობით წარმომადგენელი. საბჭომ მიიღო გამგეობის მოხსენება და დაადგინა გაეგზავნოს წარმომადგენელი.

გ. წ-რი ინწკირველი. (ს. დ.) მოხსენებას აკეთებს იმ შუამდგომლობის, თაობაზე რომელიც უნდა აღიძრას ფინანსთა სამინისტროს წინაშე ნავთსადგურის თანხიდან 175 ათას მანეთი 4% სენტერის სესხად აღების შესახებ მომხსენებელს მოყავს საბუთად ამ თანხის აღების საჭიროებაზე რიონის ჩრდილოეთ ტოტის ხიდის აშენების საკითხი, რომელსაც კრება ღებულობს ერთხმად.

კრება ამტკიცებს აგრეთვე ქალაქის სასარგებლოდ ღვინოზე გადასახადის შემოღების, ქალაქის უძრავ ქონების ხელ-ახალი შეფასების, მდ. რიონის ჩრდილოეთის ტოტზე საქვეითო ბოგირის აგების და რკინა ბეტონის ხიდის დროებით გადიდების შესახებ. უკანასკნელ პროექტის შესახებ მოხსენებას აკეთებს გ. წ—რი მ. ესაკია, (ს. ფ.) რომელიც აღნიშნავს, რომ ამ ხიდის გაკეთებას ვერ ეშველაო. ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროს 1909 წლიდან სწარმოებს საქმე ამ ხიდის შესახებ. დადგა რევოლიუცია თუ არა ფოთის აღმასრულებელ კომიტეტში ერთი პირველი კითხვათაგანი იყო ხიდის საკითხი. აღმასრულებელი კომიტეტის მონდობილობით ადგილობრივ ინჟინრებმა შეადგინეს ხიდის პროექტი რკინა ბეტონის სისტემისა. ეს პროექტი შემდეგ ქალაქის თვითმართველობის შუამდგომლობასთ ნ ერთად წარედგინა მთავრობას. ხიდის პროექტი განიხილა შინაგან საქმეთა სამინისტროს ტეხნიკოსთა თათბირმა, რომელმაც პროექტში დეფექტები აღმოაჩინა და გაუკეთა შესაფერი შენიშვნები. სამინისტრომ დაადგინა პროექტი დაუბრუნდეს ქალაქს და მიეწეროს ხელახლა შეადგინოს პროექტი თანახმად ხსენებული შენიშვნებისა. ამ დროს სამინისტროში გამოცხადებულა ფოთის ნავთსადგურის ყოფილი უფროსი ჯავახიშვილი და მოუხსენებია, რომ რკინა ბეტონის ხიდს მდ. რიონის ნიადაგი ვერ დაიმაგრებს, ვინაიდან რკინა ბეტონის ხიდი ძალიან მძიმეა. თავის მოხსენება ჯავახიშვილს იმით დაუსაბუთებია, რომ ვითომ მან მოახდინა მდ. რიონის ნიადაგის გამოკვლევა და გამოჩნდა, რომ სანიმუშო ბოძი თითო დაკვრით 1 ნახ. არშინი მიდიოდა ნიადაგში, შემდეგ მუშები ხელით რომ დააწვნენ, ბოძი იმითაც მიდიოდაო. ამის გამო ჯავახიშვილი იძლევა წინადადებას თავი დავანებოთ რკინა ბეტონს და გავაშენოთ რკინის ბოძებზე ხის ხიდი, რომლის პროექტის წარმოდგენას კისრულობს თვითონ. მიიღო რა ქალაქის გამგეობამ ორივე პროექტი მოიწვია ტეხნიკოსთა თათბირი. თათბირს სხვათა შორის დაესწრო თვით ჯავახიშვილიც. ჯავახიშვილმა კატეგორიულად უარყო ხსენებული მისი მოხსენება და განაცხადა, რომ მას არავითარი გამოკვლევა არ მოუხდენია და არც ამისი ცნობა წარუდგენია სამინისტროში, მან მხოლოდ ენზელის (სპარეთშია) მაგალითი უამბო სამინისტროს თათბირს და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ეს ცნობა შეცდომით ფოთისათვის მიუწერიათო. ამის გარდა მდ. რიონის ნიადაგის საშიშროების გასაქარწყლებლად თათბირმა აღნიშნა ის გარემოება, რომ ფოთიდან 8 ვერსზე მდ. მოლთაყვაზე, ზღვის ნაპირზე ათი წლის წინად გაშენებულა რკინა ბეტონის ხიდს არავითარი რყევა არ განუცდია. თათბირმა მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ რკინა ბეტონისთვის უკვე მზად არის 117 რკინის ბეტონის ბოძი და ორი ათასი ბოჭკა ცემენტი, რომელიც უკვე საკმარისია ხიდისათვის, ხოლო ხის ხიდისთვის მასალა არ არის მზად და ხის სიძვირის გამო ხის ხიდიც არ დაჯდება ბევრად იაფი, მასთან ხის ხიდი საჭიროებს ყოველ წლიურ შეკეთებას 30-40 ათას მანეთისას. მაშინ როდესაც რკინა ბეტონის ხიდი სამუდამოა და შეკეთების ხარჯს არ საჭიროებს; დაადგინა: ურჩიოს ქალაქის თვითმართველობას შეუდგეს რკინა ბეტონის ხიდის გაკეთებას და ამისათვის ხელ-ახლა შეადგინოს პროექტი სამინისტროს შენიშვნების თანახმად.

ჯავახიშვილის ხის ხიდის პროექტი თათბირმა უარყო სანამ რკინის ბეტონის მუშაობას შეუდგებოდეს ქალაქი თათბირი ურჩევს ეხლავე შეუდგეს საქვეითო ბოგირის გაკეთებას, რომელიც გაკეთდება რამოდენიმე კვირაში და დაჯდება რამდენიმე ათიული ათასი მანეთი, ეს ბოგირი გაუქმებს არსებულ პირობას, რომელიც წლიურად უჯდება ხაზინას 36 ათასი მანეთი და რკინა ბეტონის სამუშავოსათვის გამოდგება ხარაჩოდ ამის გამო ქალაქის გამგეობამ დაავალა ინჟინერს სერგეევს ხელახლა შეადგინოს რკინა ბეტონის პროექტი სამინისტროს შენიშვნების თანახმად და წარმოადგინოს სამინისტროში წარსადგენად. ამასთანავე გამგეობამ დაავალა სერგეევს საქვეითო ბოგირის პროექტი, რომელიც უკვე მზად არის; ამ პროექტით ბოგირის გაკეთების ხელფასი დაჯდება 33 ათას მანეთად (მასალები მზად არის) ბოგირის გაკეთების იჯარით გაცემის ვაჭრობა დანიშნულია გამგეობის მიერ ნოემბრის 20-სათვის და საჭიროა საბჭოს დასტური იმაზე, რომ გამგეობას უფლება ჰქონდეს მოიჯარადრესთან შეკრას პირობაო.

კრებამ უკამათოდ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება საბჭო ადგენს: მიღებულ იქნას გამგეობის მოხსენება და დაევალოს მას, გამგეობას, გასცეს ბოგირის გაშენება იჯარით.

ორი მოსამართლის და ერთი მსაჯულის არჩევნების შესახებ ქ. თავის მოადგილემ მ. კორძაიამ აღნიშნა, რომ თანახმად იუსტიციის მინისტრის განკარგულებისა უნდა მოვახდინოთ არჩევნები. ჩვენ, რადგანაც არჩევნები აქვს მინიჭებული ქალაქს თვითმართველობას, საბჭომ მიანდო სარეკომენდაციო კომისიას, რომელიც რამდენჯერმე იყო მოწვეული და სხდომა არ შესდგა. მათი აზრი ჩვენ არ ვიცით. მსაჯულის ამორჩევა კი ფრიად სერიოზული საქმეა. ამ ადგილზე უნდა იქნას დანიშნული საუკეთესო და პატიოსანი მუშაკი. ჯერ-ჯერობით არის შემოტანილი 4 თხოვნა, რომელიც გამგეობამ განიხილა და შეარჩიეთ ორ პიროვნებაზე ესენი გახლავთ გ. თურქია და დ. გაგუა დანარჩენი კანდიდატები ჩვენთვის უცნობი იყვნენ.

გ. წ. მ. ესაკია აღნიშნავს პრაქტიკულ მხარეს ამ თანამდებობის [illegible] და ამბობს, რომ გამოცდილი, გამოცდილ და უმაღლეს კურს დამთავრებულს ჩვენ ვერ ვიშოვით. რომ ვიშოვოთ ფოთში არ წამოვა ჯამაგირის სიმცირის გამო. გ. თურქიას უმაღლესი სწავლა არა აქვს დამთავრებული, მაგრამ პრაქტიკა აქვს, ადგილობრივი გარემოებაც ესმის, მასთან პატიოსანი პირია. დ. გაგუას კი მიღებული აქვს მაღალი სწავლა და ეს ორი ერთი მეორეს შეავსებს

ხმ. მ. ქამერიძე მხარს უჭერს მ. ესაკიას.

ხმ. გოგიბერიძე (ს.-დ.) მოითხოვს, რომ გამგეობამ ხელახლა ეცადოს მოძებნოს გამოცდილი იურისტი.

მცირე კამათის შემდეგ კრება სწყდება ხუთი წუთით. კრების განახლებისას გ. ხოფერიას შემოაქვს წინადადება ს.-დემ. ფრაქციის სახელით არჩეულ იქნას მსაჯულად დ. გაგუა, საპატიო თავმჯდომარედ კი ს. კორძაია, ხოლო საკითხი გ. თურქიას კანდიდატობის შესახებ ღიად დარჩეს. ხმის უმრავლესობით ეს მიღებულ იქმნა.

კრებამ გაარჩია აგრეთვე მრავალი წვრილმანი საკითხი.

სხდომა დაიხურა ღამის 12 ნახ. ს.

ალ—მა.

ღია წერილი

ქ. ზესტაფონის მილიციის უფროსს ბ-ნ ვ. ბაქრაძეს

თქვენ როგორც წარმომადგენელი ადმინისტრაციისა, დარაჯი და დამცველი წესიერებისა თქვენს რაიონში ვალდებული ხართ ზნეობრივად და იურიდიულად ებრძოლოთ ყოველგვარ უწესოებას და „ხულიგნობას“ და ცდილობდეთ ენერგიულად მის აღკვეთას. მოგეხსენებათ განკარგულებანი მთავრობისა შესახებ იმ პირთ, რომელნიც არ მსახურებენ არც ერთ სამხედრო ნაწილში ან თვით მილიციაში —ეკრძალებათ მათ ტარება სამხედრო ფორმისა პოგონებით და თოფ-მაუზერების. ყოველივე ამას თვალყურს უნდა ადევნებდეთ და მთავრობის განკარგულებების ცხოვრებაში გატარებას თქვენ სისწორით უნდა ასრულებდეთ...

მე მოგმართავთ ჯერ როგორც მოქალაქე, მერე კი როგორც უდანაშაულოდ შეურაცხყოფილი.

მთელი ზესტაფონის საზოგადოება კარგად იცნობს თავის „კეთილ-სინდისიერ“ საქციელებით ყოფილს თქვენს მოადგილეს კოლია გაჩეჩილაძეს, რომელიც მილიციიდან თავის „სამირო საქმეებისათვის“ გამორიცხულია და როგორც „მოღალატე“ პასუხის გებაშია მიცემული-რა უფლების ძალით დათარეშობს, დანავარდობს სამხედრო ფორმაში პოგონებით გადაჭედილი, შეიარაღებული მაუზერით და ავიწროებს, შეურაცხყოფას აყენებს მოქალაქეთ სიტყვით, ხელით და მაუზერით. კარგად მოგეხსენებათ სამხედრო სამსახურში არ ითვლება და მილიციიდან განდევნილია. ამას წინად მან მოპარვით უდიერად ხელით შეურაცხყოფა მომაყენა. შემდეგ მაუზერი იძრო და რომ პატივც გედვ გველესიანი არა, უბედურება მოხდებოდა.

სამართლიანობა და პიროვნების დაცვა კი მოითხოვდა თქვენგან აგეყარათ „თავაშვებულ რაინდიდან“ იარაღი არ შეიწყნარეთ აგრეთვე თავი, რომ უბრალო ფორმალური აკტი-პროტოკოლი შეგედგინათ, რომელიც ერთგვარი იმედი, ნუგეში. დაკმაყოფილება იქნებოდა უდანაშაულოდ შეურაცხყოფილისა და დაჩაგრულისა—რითაც შეძლებთ მექნებოდა კანონის და ხალხის წინაშე გამომჟღავნებია კიდევ მისი საქციელი.

რით აიხსნება თქვენი უმოქმედობა, პასუხეობა?! ხომ მოგეხსენებათ უმოქმედობა შობს უწესოებას და ანავარდებს „ხულიგნებს“. თქვენი ასეთი უმოქმედობა ამ მხრივ სამარეს გაუთხრის რესპუბლიკას, ნიადაგს მისცემს ანარქიას და ეს დაბადავს უკმაყოფილებას, უნდობლობას მთავრობისადმი.

ზედმეტი ენერგია და მკაცრი ზომები რესპუბლიკის საკეთილდღეოდ!

ვ. გაჩეჩილაძე.

გამომცემელი
[illegible]
[illegible] მთავარ კომიტეტი

იყიდება

სამოსახლო მიწა ზომით 842 ოთხკუთხი საჟენი ხაშურში (მიხაილოვში) სადგურის პირდაპირ მაღლობზე იკითხეთ 1 სანაპირო ქუჩაზე № 2. ვერის ხიდთან სამღებრო ლეგრანთან. 2458

ექიმი ბ. მ. [illegible] იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5—6 [illegible] კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი [illegible] ქ. № 67, ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების მეზობის პირდაპირ. სახლი [illegible]ვილისა, ტელეფ. 15—77. 300

ექიმი ლ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩოლოყაშვილის ქუჩა № 87. აკვარიუმ აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი ქალი რ. ბ. შუშანია-ხაბაშვილი მედიცინის დოკტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ვიენის [illegible] მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზიბოთ დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 7 ნახ. საათამდე. მიხაილოვის პრ. სახლი № 19. ტელ. 9—[illegible] 2306

ექიმი ნიკოლოზ ვახვახაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მიხეილ[illegible]ვის ქ. № 11. 2245

ექიმი ს. ლ. ტუშმალიშვილი (მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7 [illegible] ქის გვერდით. 908

ექიმი ს. ა. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე. პეტრე დიდის ქ. № 26, ტელ. 5—38. 1270

ექიმი ი. ი. [illegible] მიიღებს [illegible] წერილული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება „914" და კანის ავადმყოფები [illegible] [illegible] შესახებ [illegible] № 8

ექიმი ქ. ტუშმალაშვილი, განაახლა ავადმყოფების მიღება (საშარდე და სასქესო ორგანოების სნეულებანი, ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი, „914"-ის შეშხაპუნება) ყოველ დღე საღამოობით 6 8 საათ. გარდა კვირისა. კერძო საავადმყოფოში, მიხეილის ქუჩა, № 167. 2407

ექიმი გ. მუხაძელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] დანოვის ქ. № 6.

ექიმი ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

თვალის სამკურნალო მუდმივი საოქ. ლით ექიმ დოხნინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (ალექსანდრის კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 82

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. ლ[illegible] მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჰაჭებისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ხაწერით. ღარიბებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 8. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2028

მედიცინის დოკტორი ბერ ლინის უნივერსიტეტისა

ბ. გ. მებოაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტი; გასინჯვა და წამლობა [illegible] დიდი სალეხოიდი და [illegible] ფილტვების, გულისა და სხვა [illegible] განი ავადმყოფობისათვის, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—[illegible] საათ. ბებუთოვის ქ. № 25, ტელეფონი 7—42 სასწავლებელს ღებულობს უფასოდ. 1840

კერძო სამკურნალო

ექ. ა. დ. ალექსიძისა

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.

გ. მ. რეკვავა—შინ[illegible] ავადმყოფობანი 9—11

შ. მ. ტუშმალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (დილით 11—12 ს.)

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იმხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა ს დაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება რიგი ექიმი.

მისამართი: იოაკლის ქუჩა № 6, ვაკ[illegible] ხასის მოედანთან, ტელეფონი № 9—8

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგე ექიმი. [illegible] 8

ექიმ ნავახარდიანის კერძო ქალაქ სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით: „606“ და „914“ 11—12 ს.

ბ. ა. ნავახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმ.)

ს. ნ. აკახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმ.

მ. გ. ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. ნ. ზენიაშვილი: 10—12 ს. [illegible] ყელისა და ცხვირის [illegible]

ბ. გ. ავეტიხიანი 11—1 [illegible] ბავშვთა ავადმ.

ა. ი. [illegible], 2—4 ს. [illegible] ნაგანი

რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მეცნიერი დოკტორი ა. ნავახარდიანი.